ზიანის შემცირება

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის საინფორმაციო ბიულეტენი

N8 • 2014

ყოველკვარტალური გამოცემა • ვრცელდება უფასოდ

საინფორმაციო კვარტალური ბიულეტენის "ზიანის შემცირება" მერვე გამოცემა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მტკიცებულებებზე დამყარებული ჩარევა წამალდამოკიდებულთა უფლებების დასაცავად საქართველოში" ფარგლებში მოამზადა.

მნიშვნელოვანი ამბები

საპროტესტო აქცია

2014 წლის 18 მარტს „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის" ორგანიზებით

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მხარდაჭერები იყვნენ „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი", „მსოფლიო ექიმები-

საფრანგეთი", „ალტერნატივა ჯორჯია" და ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო." აქციის მიზანი იყო ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის ჯანდაცვაზე ორიენტირებული სერვისების გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება.

ნარკოტიკების მომხმარებელმა ადამიანებმა და მათი ოჯახის წევრებმა გააპროტესტეს არსებული მიდგომები და შეახსენეს ჯანდაცვის სამინისტროს აღებული ვალდებულებები, რაც ასახულია ეროვნულ ნარკოსტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში და რომელიც გულისხმობს ჯანდაცვის მიმართულებით სერვისების გაფართოებას, ახალი სერვისების შექმნასა და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ბოლო პერიოდში შეჩერებულია პაციენტთა მიღება ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამებში, დეტოქსიკაციის პროგრამები ძალიან ძვირია, ხოლო სახელმწიფოს დაფინანსებით მკურნალობის გავლის საშუალება მხოლოდ ერთეულებს აქვთ ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ. ასევე ქვეყანაში არ არსებობს წამალდამოკიდებულების კომპლექსური მკურნალობა, რაც მოიცავს დეტოქსიკაციის შემდგომი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებს. ნარკოკანონმდებლობის ჰუმანიზაციის მოწინააღმდეგეთა მიერ მიზეზად ამ მიმართულებით საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოუმზადებლობა სახელდება. საქართველო რჩება რეგიონში ერთადერთ ქვეყანად, რომელშიც ნარკოტიკების მოხმარება განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და არა როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემა.

C ჰეპატიტით ინფიცირებული პაციენტებისთვის მედიკამენტების შეძენა 60%-ით დაბალ ფასში იქნება შესაძლებელი

C ჰეპატიტით ინფიცირებული პაციენტებისათვის სამკურნალო მედიკამენტების შეძენა 60%-ით დაბალ ფასში იქნება შესაძლებელი, სასჯელაღსრულების სისტემა კი C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებს პატიმრებს უფასოდ მიაწვდის.

აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში 15 მარტს გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, მისი მოადგილე მარიამ ჯაში, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, მისი მოადგილე არჩილ თალაკვაძე და სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელი ირაკლი ქარსელაძე ესწრებოდნენ.

როგორც მინისტრებმა აღნიშნეს, სახელმწიფო შესყიდვით C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტზე დაფიქსირებული ფასი რეგიონში ყველაზე დაბალი, მსოფლიოში კი - ეგვიპტის შემდეგ ყველაზე დაბალია. 2014-2015 წლებში სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება პატიმრებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 1 000 პაციენტისათვის C ჰეპატიტის დიაგნოსტირება და მკურნალობა. კერძოდ, პირველი მარტიდან 1000 პატიმრისათვის C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტი უფასო იქნება.

ჯანდაცვის სამინისტრო 1000 პატიმრისთვის პეგილირებულ ინტერფერონს 158.67 ლარად შეიძენს, რაც დღეს საქართველოს ბაზარზე აღნიშნული მედიკამენტის დაფიქსირებულ ფასზე 60%-ით ნაკლებია. იგივე შეღავათიანი ფასი გავრცელდება სამოქალაქო სექტორის 10 000 პაციენტზე, რომელთაც 1-ლი ივლისიდან საშუალება ექნებათ აღნიშნული მედიკამენტი 92.88 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში შეიძინონ. დავით სერგეენკომ აღნიშნა, რომ პაციენტების რეგისტრაცია პირველი თებერვლიდან დაიწყება. ინფორმაცია ბენეფიციართა რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის, მედიკამენტის ფასის, შესყიდვის ვადებისა და ადგილის შესახებ ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებგვერდზე.

უფლებები და ნარკოპოლიტიკა

ბევლევები ადამიანის უფლებებსა და ნარკოპოლიტიკაზე საკმაოდ მწირია როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში. უფრო მეტიც, ხშირად ადამიანის უფლებების განხილვისას სიძნელეებს ვაწყდებით ნარკოპოლიტიკით გამოწვეული ზიანის სრულად აღქმის თვალსაზრისით, და შესაბამისად, გვიჭირს სახელმწიფო მოხელეებისა თუ ინსტიტუტების დარწმუნება იმაში, თუ რატომ უნდა შეიცვალოს ნარკოპოლიტიკა და რატომ უნდა დაექვემდებაროს ის ადამიანის უფლებათა კუთხით სრულ და პერიოდულ შეფასებას.

ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა ჯერ სახელმწიფოს სრულყოფილად არც შეუფასებია. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო და სხვა კვლევითი ორგანიზაციები ნაკლოვან ნარკოპოლიტიკასა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დაგროვილ პრობლემებზე არაერთ კვლევაში საუბრობენ, სახელმწიფო ორგანოები დღემდე არ აღიარებენ, რომ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე და ეს არა მხოლოდ არასრული იმპლემენტაციის გამო ხდება, არამედ იმიტომ, რომ მსგავს დარღვევებს სწორედ კანონმდებლობა და პოლიტიკა უწყობს ხელს. მეტიც, ეს ყველაფერი ხშირად ნარკოკანონმდებლობის პირდაპირი გამოყენების შედეგია.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები ნარკოპოლიტიკის სფეროში

საქართველო საერთაშორისო ნარკოპოლიტიკის სფეროში გაეროს ყველა საერთაშორისო კონვენციის მონაწილეა. კერძოდ, 2000 წლიდან საქართველო მიუერთდა გაეროს 1961 წლის ერთიან კონვენციას ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ, ხოლო უფრო ადრე მოახდინა გაეროს 1971 წლის ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ და 1988 წლის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციების რატიფიკაცია. თითოეული კონვენცია ადგენს სპეციალურ რეჟიმს ნარკოპოლიტიკის განსაზღვრისას ადგილობრივ დონეზე, რომელსაც ქვეყნები პასუხობენ შესაბამისი მექანიზმის შემუშავებით როგორც სადამსჯელო პოლიტიკის სფეროში, ასევე ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. მეტიც, მაგალითად, 1988 წლის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენცია ადგენს, რომ აუცილებელია ბალანსის დაცვა სახელმწიფოების მიერ დადგენილ სასჯელებსა და ადამიანის უფლებების კუთხით.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები ადამიანის უფლებების სფეროში

გაეროს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციიების ძირითად სტანდარტებს შორის აღსანიშნავია პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებათა პაქტი, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია, ბავშვთა უფლებების დაცვის გაეროს კონვენცია, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კონვენცია, წამების აღკვეთის კონვენცია და სხვები, რომლებსაც საქართველო აღიარებს. ეს კონვენციები და გაეროს პრინციპები, რომელსაც ორგანიზაციის დებულება ეფუძნება, ძირითადი საერთაშორისო გარანტია იმისა, რომ სახელმწიფოებმა მოახდინონ შესაბამისი ეროვნული მექანიზმების შემუშავება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია ამ კუთხით ადგენს მყარ კონსტიტუციურ გარანტიებს და აწესებს, რომ ადამიანის უფლებები არის სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები და ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით მათ უპირატესი მოქმედების ძალა აქვთ. გარდა ამისა, არსებობს არაერთი სტანდარტი ადამიანის უფლებებსა და ნარკოპოლიტიკის თემატიკაზე, რომელიც გაეროს სხვადასხვა ადამიანის უფლებათა ორგანოებმა შეიმუშავეს და მათი მოქმედება პირდაპირ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაზე. კერძოდ, გაეროს სპეციალური მომხსენებლების წლიური და თემატური ანგარიშები ფართოდ მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და აივ ინფექციის პრევენცია ადამიანის უფლებების ჭრილში, ძალადობა ნარკოტიკების მომხარებელ პირთა მიმართ და სავალდებულო პრევენციული ზომების გატარება, რომელიც თავის მხრივ აგრეთვე მოიცავს სახელმწფოს ვალდებულებას, მიიღოს როგორც პრევენციული ზომები და თავიდან აიცილოს ძალადობა, აგრეთვე უზრუნველყოს უკვე განხორციელებული ძალადობრივი აქტის გამოძიება და შესაბამისი რეპარაციის უზრუნველყოფა. ხსენებული დოკუმენტები ასევე ფართოდ ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქალთა მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ამ კუთხით განხორციელებული ძალადობა. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის სფეროში რაშიდა მანჯუსი ბოლო ანგარიშში განმარტავს, რომ უმრავლეს ქვეყნებში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში ნარკოდამოკიდებულება და ნარკოდანაშაული უკავშირდება ქალთა უფლებების აბსოლუტურ უგულებელყოფას და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დრაკონულ ნორმებს. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ჯანდაცვის საკითხებზე, ანანდ გროვერი, მოუწოდებს სახელმწიფოებს მოახდინონ ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია, რაც თავიდან ააცილებს დამატებით ხარჯებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. მან არაერთგზის გააკეთა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მოხდეს ნარკოპოლიტიკის ადამიანის უფლებებზე გავლენის შეფასება. აგრეთვე სპეციალურმა მომხსენებელმა რეკომენდაციებით მიმართა გაეროს წამების აღკვეთის კომიტეტს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ნარკოპოლიტიკის საკითხებს ქვეყნების მიხედვით ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასებისას.

მტკიცებულებები ცხადყოფს რეალურ და დაუყოვნებლივ საჭიროებას რეფორმირდეს ნარკოპოლიტიკა, რათა იგი სრულ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან.

კერძოდ კი, საკითხები როგორიცაა: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და სადამსჯელო ღონისძიებების გამოყენება ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა მიმართ, რაც ხელს უშლის ინფორმირებული თანხმობის გამოხატვას და ასევე ჯანდაცვის უფლების რეალიზებას პრაქტიკაში; ნარკოპოლიტიკის გავლენა სტიგმისა და დისკრიმინაციის ჩამოყალიბებაზე; მკაცრი ნარკოპოლიტიკის როლს ზიანის შემცირების პროგრამების აკრძალვის გადაწყვეტილებებზე და ნარკოპოლიტიკის გავლენას პალიატიურ მკურნალობაზე. რა თქმა უნდა, ეს მცირედი ჩამონთვალია იმ საკითხებისა, რომელიც ნარკოპოლიტიკისა და ადამიანის უფლებების საკითხებს ეხება და რელევანტურია საქართველოს რეალობისათვის. მსგავსი რეკომენდაციები გაკეთდა უფრო ადრე სპეციალური მომხსნებლის მიერ წამების აღკვეთის საკითხებზე, რომელმაც მიიჩნია, რომ ის ტანჯვა, რასაც განიცდის პირი აბსტინენციის დროს, განსაკუთრებით პოლიციის მიერ დაკავების ადგილებში, სადაც პირებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა ჩანაცვლებით თერაპიაზე, შესაძლოა, შეფასებულ იქნას როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ნარკოტიკების მომხარებლებზე ხდება ზეწოლა, რათა აბსტინენციის პერიოდში მყოფებმა ნარკოტიკული საშუალების სანაცვლოდ მისცენ აღიარებითი ჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპებისა და სხვა დაკავშირებული სტანდარტების პირდაპირ მოქმედებას საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, შეუიარაღებელი თვალითაც კი აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული არ ვცრელდება ნარკოპოლიტიკის სფეროზე. ეს უმეტესწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საერთაშორისო ნარკოპოლიტიკა ხშირად არის მიჩნეული შეუსაბამოდ ადამიანის უფლებების პრინციპებთან და იმის ნაცვლად, რომ ეს ორი პარალელური უნივერსი ჰარმონიულად განვითარდეს, ხშირად აქვს ადგილი კონკურენციას. ზოგიერთი სახელმწიფო ადგენს სიკვდილით დასჯას ნარკოტიკულ დანაშაულებზე, მაგალითად მალაიზია, ინდონეზია, სინგაპური. ამავდროულად, გაეროს ადამიანის უფლებათა სტანდარტები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სიკვდილით დასჯა შესაძლოა იყოს დაწესებული მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებში კონკრეტულ საქმეებზე. ამავდროულად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი განმარტავს, რომ ნარკოტიკული დანაშაული არ მიეკუთვნება ასეთ მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

ნარკოპოლიტიკის იმპლემენტაციის კუთხით საქართველოში გავრცელებული უფლებათა დარღვევები მრავალმხრივია და შეეხება როგორც ჯანდაცვას, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებას. ასევე მტკიცებულებები ცხადყოფს რეალურ და დაუყოვნებლივ საჭიროებას რეფორმირდეს ნარკოპოლიტიკა, რათა იგი სრულ შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან და სტანდარტებთან.

ჯანდაცვა

სპაისი

სპაისი სხვადასხვა სახეობის მცენარეთა ნარევია, რომელსაც გააჩნია მარიხუანას მსგავსი ეფექტი და ითვლება როგორც მისი „უსაფრთხო“ ალტერნატივა. სპაისის გაყიდვა ხდება სხვადასხვა სახელწოდებების გამოყენებით. აღნიშნულ პროდუქციაში შედის გამხმარი, დაქუცმაცებული მცენარეები და ქიმიურ დანამატები, რომელთაც გააჩნიათ ფსიქოტროპული ეფექტი.

არასწორი რეკლამირება

სპაისის პროდუქციის ეტიკეტები შეიცავს წარწერას - სხვადასხვა მცენარეებისგან დამზადებული „ბუნებრივი“ ფსიქოტროპული ნივთიერებები. სპაისის პროდუქტებში ნამდვილად შედის გამხმარი მცენარეები, მაგრამ ქიმიური ანალიზი აჩვენებს, რომ მათი აქტიური ინგრედიენტები მიეკუთვნებიან სინთეზურ კანაბინოიდებს.

წლების მანძილზე, სპაისების შეძენა იოლად ხდებოდა ინტერნეტის საშუალებით. სპაისის პროდუქტები პოპულარულია ახალგაზრდებში. იოლი ხელმისაწვდომობა და არასწორი აღქმა იმისა, რომ სპაისის პროდუქტები „ნატურალურია“ და შესაბამისად უვნებელი, სავარაუდოდ, ხელს უწყობს ამ პროდუქტების პოპულარობას. სპაისში შემავალი ქიმიური ნივთიერებების აღმოჩენა რთულია სტანდარტული ნარკოტესტებით.

სპაისის მავნე ზემოქმედება

სპაისის ზოგიერთი პროდუქტი იყიდება „მარცვლების სახით“, მაგრამ ჰგავს ყვავილოვანი მცენარეების გამხმარი ფოთლების არომატულ ნარევს. მარიხუანას მსგავსად, სპაისს ეწევიან. ხანდახან სპაისი შერეულია მარიხუანასთან ან მომზადებულია როგორც მცენარეული ხსნარი დასალევად. სპაისის მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ მისი მოქმედება მარიხუანას მსგავსია - ამაღლებული გუნებაგანწყობილება, რელაქსაცია და შეცვლილი აღქმა, რიგ შემთხვევებში სპაისით გამოწვეული ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე ეს მარიხუანას შემთხვევაშია. ზოგი მომხმარებელი აღნიშნავს მის ფსიქოზურ ეფექტს, როგორიცაა, შფოთვა, პარანოია და ჰალუცინაციები.

ჯერჯერობით, თავის ტვინზე სპაისის ზემოქმედების შესახებ მეცნიერული კვლევა არ ჩატარებულა. სპაისში ნაპოვნი ზოგიერთი ნივთიერება უფრო მჭიდროდ უკავშირდება რეცეპტორებს, რაც იწვევს გაცილებით ძლიერ და არაპროგნოზირებად ეფექტს. ვინაიდან სპაისის ბევრი პროდუქციის ქიმიური შემადგენლობა უცნობია, ზოგიერთი პროდუქცია, სავარაუდოდ, შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ საკმაოდ განსხვავებული ეფექტი, ვიდრე ამას მომხმარებელი მოელის.

სპაისის მომხმარებლები, რომლებიც მიჰყავთ ტოქსიკოლოგიურ ცენტრებში, აღნიშნავენ ისეთ სიმპტომებს, როგორიცაა, გახშირებული გულის ცემა, ღებინება, აგზნებადობა, დაბინდულ ცნობიერება და ჰალუცინაციები. სპაისი ასევე ხელს უწყობს სისხლის წნევის მომატებას და იწვევს სისხლის მიწოდების შემცირებას გულში (მიოკარდიული იშემია).

შესწავლილი არ არის კიდევ რა გავლენას ახდენს სპაისი ადამიანის ჯანმრთელობაზე ან რამდენად ტოქსიკური შეიძლება იყოს ის. სპაისის პროდუქტებში შესაძლებელია იყოს მძიმე ლითონის მავნე ნარჩენები, თუმცა შემდგომი ანალიზის გარეშე, ძნელია ამ მოსაზრების დადასტურება.

პრაქტიკული რჩევები

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირება

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებისათვის აუცილებელია, რომ მასალა, რომელიც შეიცავს ვირუსს (ინფიცირებული ადამიანის სისხლი) მოხვდეს სხვა ადამიანის სისხლის ნაკადში. ამ გზით ვირუსი შეაღწევს ღვიძლის უჯრედებში და იწყებს გამრავლებას.

ღვიძლის უჯრედების დაზიანება ხდება როგორც თვით ვირუსების მოქმედების შედეგად, ასევე იმუნოლოგიური რეაქციის ზეგავლენით, რომელიც წარმოდგენს ორგანიზმის პასუხს, რომელიც აგზავნის იმუნურ უჯრედებს - ლიმფოციტებს უცხო გენეტიკური მასალის შემცველი ღვიძლის ინფიცირებული უჯრედების გასანადგურებლად.

C ჰეპატიტის ვირუსის გადაცემის გზები :

- კონტაქტი ინფიცირებული ადამიანის სისხლთან და სისხლის კომპონენტებთან;
- კონტაქტი ინფიცირებული სისხლით დაბინძურებულ საინექციო, სამედიცინო ინსტრუმენტებთან და სტომატოლოგიურ იარაღებთან,
- HCV ინფიცირებული ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაციის დროს
- პირსინგის და ტატუირების, აკუპუნქტურის, პედიკურისა და მანიკურის გაკეთებისას თუ სტერილიზაციის წესები არ არის დაცული

C ჰეპატიტით ინფიცირებულმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები, რათა ვირუსის გადაცემისაგან დაიცვას სხვა ადამიანები:

- ის არ შეიძლება იყოს სისხლის ან ორგანოების დონორი;
- არ მოიხმაროს საერთო მოხმარების საგნები, რომლებიც შეიძლება გახდეს ინფექციის გადაცემის წყარო (საპარსი მოწყობილობები, ეპილატორები, კბილის ჯაგრისი, მანიკურის ნაკრები);
- ხელის გაჭრის ან დაჟეჟილობის შემთხვევაში აუცილებელია დაზიანების დაფარვა ან სამედიცინო ხელთათმანების ხმარება.

საკუთარი ინფექციური სტატუსის ცოდნის შემთხვევაში შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების განვითარება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას HCV ინფიცირების შემთხვევაში, ასევე ინფექციის გადაცემა სხვა ადამიანებზე.

ჩემი ისტორია

ჩემი ისტორია არაფრით განსხვავდება ნარკოტიკების მომხმარებელი სხვა თბილისელი ბიჭების ისტორიებისგან. 90-იანი წლები - პერიოდი, როცა „წამლის კეთება“ ვაჟკაცობად და „კარგ ბიჭობად“ ითვლებოდა. მე უფრო გვიან მივყევი ხელი ამ საქმეს, 90-იანი წლების დასასრულს. მუშაობა დავიწყე აფთიაქში და იქ თითქმის ყველა თანამშრომელი დირექტორის ჩათვლით ნარკოტიკების მომხმარებელი იყო. პირველად გავსინჯე ჰეროინი, რომელიც იმ პერიოდისთვის იოლად ხელმისაწვდომი არ იყო, მეგობარმა ჩამოიტანა ჰოლანდიიდან, მერე გადავედი სუბოტექსზე, პარალელურად ოპიუმსაც მოვიხმარდი. ერთი წლის შემდეგ უეცრად აღმოვაჩინე, რომ მქონდა ე.წ. „ლომკა“, აბსტინენციის მდგომარეობა. შემდეგ ნელ-ნელა გავაცნობიერე, რომ უკვე ღრმად შევტოპე, რომ ვარ დაავადებული და მესაჭიროება მკურნალობა. თანდათანობით პრობლემებმაც იმატა ჩემს ირგვლივ, ნარკოტიკის შოვნა გართულდა, როგორც იტყვიან, დავიწყე „დაღმართზე“ სიარული. აფთიაქი, სადაც ვმუშაობდი, მალე დაიხურა, რამდენიმე სამსახური გამოვიცვალე. იყო შემთხვევები, როცა გამათავისუფლეს სამსახურიდან ნარკოტიკის მოხმარების გამო, თუმცა ჩემზე დაკისრებულ სამუშაოს ვასრულებდი, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს „ჩემი საქმიანობა“ ხელს მიშლიდა სამსახურში, იმიტომ რომ წამლის შოვნას დრო სჭირდება, ამ პროცესს თავისი სირთულეები მოყვება.

იმ დროისთვის საქართველოში არ იყო სარეაბილიტაციო ცენტრი, ეს პრობლემა დღესაც დგას, არ ვიცოდი სად წავსულიყავი, რომ მემკურნალა. ნარკოლოგიურ ცენტრში მოქმედებს 2-3 კვირიანი დეტოქსის პროგრამა, ე.წ. „ლომკის“ მოხსნის საშუალება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მთავარი აბსტინენციის სინდრომის მოხსნის შემდეგ იწყება, ყველაზე მეტად წამალდამოკიდებულს ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდება. 2012 წელს შემთხვევით მოვხვდი „კამარაში“, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში, იქ ბევრი რამ გავაანალიზე, მრავალ კითხვას გაეცა ჩემთვის პასუხი, მივხვდი, როგორ მოვერიო საკუთარ თავს. ამ ცენტრში თითქმის ორი წელი დავდიოდი. არსებობს „12 ნაბიჯის“ პროგრამაც, მაგრამ მე მას ფეხი ვერ ავუწყვე, ჩემი აზრით, ეს პროგრამა ქართულ მენტალიტეტზე მორგებული არ არის.

ნარკოტიკების მოხმარების საკმაოდ ხანგრძლივი „სტაჟი“ მაქვს და შესაბამისად, ამ ხნის მანძილზე შეხება მქონდა სამართალდამცავ ორგანოებთან. როგორც ყველას, მეც მათთან მაკავშირებს მძიმე ურთიერთობა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდიდან. იმ დროს ერთხელ დამაკავეს, როგორც ხდებოდა ხოლმე, თანხა მომთხოვეს, გადავიხადე და გამომიშვეს. ამის შემდეგ თავი დამანებეს, რადგან გადავიხადე აღარ მეხებოდნენ, ანუ „მწვანე შუქი“ ამინთეს.

სააკაშვილის პერიოდში კი ყველაფერი შეიცვალა, ნარკოპოლიტიკა გახდა საშინლად რეპრესიული, კანონები - მკაცრი და რეალობასთან შეუსაბამო. ამ პერიოდში სამჯერ დამაკავეს, აქედან ორჯერ ერთსადაიმავე აფთიაქთან. როგორც მოგეხსენებათ, აფთიაქებში რეცეპტის გარეშე შეიძლება კოდეინის შეძენა, საიდანაც ე.წ. „ნიანგი“ მზადდება. იქ სამართალდამცავები მორიგეობენ, გამოსვლისას გაკავებენ და გადაგიყვანენ ნარკოლოგიურში შესამოწმებლად. აფთიაქებს კი არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. ორივეჯერ გადავიხადე ჯარიმა 500 და 2000 ლარის ოდენობით. შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი დევნა ხორციელდება წამალდამოკიდებულთა მიმართ. ვინაიდან სულ პრობლემები მექმნებოდა კოდეინის შეძენის გამო, მე აღარ ჩავდიოდი და ჩემს მეზობელს ვუშვებდი წამლის შესაძენად. დაკავების მესამე შემთხვევა ყველაზე საშინელი იყო. ტაქსიდან გადმოვედი და ჩემი კორპუსის სადარბაზოში შევდიოდი მეუღლესთან ერთად და შესასვლელში პოლიციამ გამაჩერა. მკითხეს წინა ჯარიმა თუ გადაიხადეო, მე ვუთხარი რომ გადახდილი მქონდა, მომთხოვეს ქვითარი, ვუთხარი სახლში მაქვს და გაჩვენებთ-თქო. მითხრეს პოლიციაში წავსულიყავი და იქ მოეტანა ოჯახის წევრს ქვითარი. სინამდვილეში ეს საბაბი იყო, პოლიციაში განმიცხადეს, რომ გონივრული ეჭვის საფუძველზე ვიყავი დაკავებული. ეტყობა ჩემს ტელეფონს უსმენდნენ და როგორც შემდეგ გავარკვიე, ჩემს სახლთან მორიგეობდნენ ხოლმე პერიოდულად, იმ დღეს კი მთელი დღე მელოდებოდნენ. მიუღებელია დაელოდო სახლთან, ფაქტიურად სახლში შეუვარდე და დააკავო წამალდამოკიდებული.

ამ დაკავებების დროს პოლიციას ჩემს მიმართ ძალა არ გამოუყენებია, არც უხეშად მოპყრობის ფაქტს ჰქონია ადგილი. თუმცა, ჩემი მეგობრების შემთხვევაში კი საპირისპირო მოხდა, ნარკოლოგიურ ცენტრში ერთ-ერთი მორიგი გადაყვანის დროს, ჩემმა მეგობრებმა უარი განუცხადეს პოლიციას შარდის ჩაბარებაზე, ეს მათი უფლებაა. გაღიზიანებულმა პოლიციელებმა ისინი ხელბორკილებით გარეთ გაიყვანეს სიცივესა და ყინვაში და სანამ თავად სიგარეტს ეწეოდნენ, ხელბორკილებით იქვე მიაბეს და უთხრეს, ვნახავთ ახლაც თუ ვერ ჩააბარებთო. სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ბევრია.

ზედოზირების შემთხვევა არასოდეს მქონია. ჩემს მეგობრებს ჰქონდათ და მოგეხსენებათ, ამ დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების გეშინია, როგორც წესი, პატრულთან ერთად მოდის, ამიტომ ცდილობ სანამ მეგობარს კრიტიკული მომენტი არ დაუდგება, მანამდე შენ გამოიყვანო მდგომარეობიდან. ერთი პერიოდი გავრცელებული იყო მარილიანი წყლის კუნთებში შეყვანა, რაც საშიშია და არანაირი შედეგი არ მოაქვს. ამ პოლიტიკამ შედეგად მოიტანა ის, რომ ზედოზირებით გამოწვეულმა სიკვდილიანობის შემთხვევებმა მკვეთრად მოიმატა, ვთვლი, რომ ეს მიდგომა აუცილებლად და მოკლე ვადაში უნდა შეიცვალოს.

სასჯელაღსრულების სისტემაში სულ სამი კვირა ვიმყოფებოდი. მესამე დაკავების შემდეგ, ვიდრე ჯარიმას გადავიხდიდი, მოვხვდი გლდანის ციხეში და იმ პერიოდის გახსენება ჩემთვის რთულია. რასაკვირველია, „მშრალად“ გადავაგდე ნარკოტიკი, საშინელი პერიოდი იყო, ციხის პირობები და ბადრაგის მხრიდან პატიმრის მოპყრობა კი - აუტანელი.

რამდენიმე წელია აღარ მოვიხმარ ნარკოტიკს, ამას „კამარას“ ვუმადლი, რომ შევძელი ამ უფსკრულიდან ამოსვლა, სამსახურიც ვიშოვე, რამდენიმე ადგილას ვმუშაობ. ამავე დროს, ნარკოტიკების მომხმარებელთა ქსელის წევრი ვარ, სადაც ვსაუბრობთ ჩვენს უფლებებზე, ვცდილობთ, ერთიანი გეგმა შევიმუშავოთ, თუ როგორ შეიძლება მოვახდინოთ ჩვენი უფლებების დაცვა და ნარკოპოლიტიკის შეცვლის ადვოკატირება. ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული მიდგომა შეიცვლება და უფრო მეტი თანხები მოხმარდება სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნას და ზიანის შემცირების პროგრამების გაფართოებას.

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამ დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“ და არც ერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის გამომხატველად.

This document has been produced with the financial assistance of the European Union. The contents of this document are the sole responsibility of the Georgian Harm Reduction Network and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the European Union

ბიულეტენის გამოცემა დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

რედაქტორი: თეა კორძაძე
სტილი: ნინო ბექიშვილი
დიზაინი: Print¦ock

ნომერზე მუშაობდნენ: ლაშა ზაალიშვილი, თეა კორძაძე,
პაატა საბელაშვილი, ნათია მორჩილაძე, ეკა იაკობიშვილი.

გამომცემელი: „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“

საქართველო, თბილისი, 0171 პეკინის გამზ. 2,
მე-2 სადარბაზო. მე-4 სართული, ბ. 19
ტელ: ოფისი: +995 221 32 11 (ფაქსი) +995 247 87 94
ელ.ფოსტა: info@hrn.ge, ვებ-გვერდი: www.hrn.ge

დაბეჭდილია: შ.პ.ს. „სეზანი“
საქართველო, თბილისი, 0119 წერეთლის გამზ. 140,
ტელ.: +995 32 235 70 02, ფაქსი: +995 32 235 70 04

ISSN 2298-0288

ბიულეტენში გამოქვეყნებულ მასალაზე საავტორო უფლებას ფლობს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

ბიულეტენში გამოქვეყნებული მასალის გამოყენებისას აუცილებელია წყაროს მითითება